დღესდღეობით ხელოვნური ინტელექტი და მისი როლი სხვადასხვა სფეროში ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ საკითხად რჩება პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ხელოვნური ინტელექტისათვის რთული და მასშტაბური ამოცანების დასახვა.

საკითხი განსაკუთრებით მწვავე გახდა ბოლო წლებში, სულ უფრო და უფრო იხვეწება ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სხვადასხვა ტექნოლოგიები და სამეცნიერო თუ პროფესიულ წრეებში ხშირად ჟღერს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკმაოდ მოკლე ვადაში, ე.წ. მოაზროვნე მანქანები არაერთ პროფესიაში ჩაანაცვლებენ ადამიანებს და არაერთი მეცნიერი გამოთქვამს კიდევ მოსაზრებას, რომ ბევრი პროფესია აღარც იარსებს. ცხადია, ეს კაცობრიობისთვის პირველი შემთხვევა არ იქნება, ადამიანთა არსებობის ისტორია მოწმობს, რომ არაერთი პროფესია ჩაანაცვლა ტექნოლოგიურმა პროგრესმა და ეს ახალი რამ სულ არ არის. თუმცა მოაზროვნე მანქანის მიერ მოსამართლის ჩანაცვლება მაინც უცნაური პერსპექტივაა. არაერთი ნაშრომი გვხვდება სამართალში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების კუთხითაც, თუმცა ამჯერად, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია შევისწავლოთ, თუ რა ნაწილში შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელოვნური ინტელექტი სისხლის სამართალწარმოებასა და გამოძიების სფეროში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნება ხელოვნური ინტელექტის არსი, გაანალიზებული იქნება მისი შესაძლებლობები, მისი გამოყენების არეალი, გამოყენების არსებული პრაქტიკა, სხვადასხვა ქვეყნების მიდგომები და ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილი იქნება ავტორის პოზიცია შემდეგ საკითხებზე:

- სისხლი სამართალწარმოებასა და გამოძიებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითადი გამოწვევები და სისუსტე;
- სისხლი სამართალწარმოებასა და გამოძიებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების არსებული არეალი და მისი შემდგომი გამოყენების პერსპექტივა.

1. ხელოვნური ინტელექტის შექმნის და განვითარების ისტორია

თავად ხელოვნური ინტელექტის ფუძემდებლად რამდენიმე ადამიანი ითვლება. უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ, აღსანიშნავია ალან ტიურინგის ღვაწლი. ის ხშირად ხელოვნური ინტელექტის მამადაც მოიხსენიება. 1950 წელს, ტიურინგის სამეცნიერო ნაშრომში „გამოთვლითი მანქანა და ინტელექტი“ წარმოდგენილი იყო კონცეფცია ადამიანური ინტელექტის მქონე გამოთვლითი მანქანის შესახებ. ტიურინგის ნააზრევმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომ ხელოვნური ინტელექტის განვითარებას – ე.ი. ადამიანის მსგავსად მოაზროვნე გამოთვლითი მანქანის შექმნას.¹ მოგვიანებით, ეს თემატიკა განავითარა მათემატიკის პროფესორმა ჯონ მაკ-კართიმ, რომელმაც 1956 წელს გამოიყენა ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“. სწორედ მისი ორგანიზებით მოეწყო 1956 წელს დართმუზის კონფერენცია, სადაც დღეს უკვე ჩვენთვის კარგად ნაცნობი მოვლენა „ხელოვნურ ინტელექტად“ იწოდა და ამან პრაქტიკულად ამ დიდი მიმართულების განვითარებას ჩაუყარა საფუძველი, მალე ხელოვნური ინტელექტი ცალკე დისციპლინადაც კი იქცა.² მაკ-კართიმ, მარვინ მინკსთან ერთად დააფუძნა MIT AI LAB. რობოტიკისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის სფეროში მინსკმა პრაქტიკულად შეუფასებელი წვლილი შეიტანა ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში.³ შემდგომ უკვე ჰერბერტ საიმონმა და ალენ ნიუელმა შეიმუშავეს ადრეული ხელოვნური ინტელექტის პროგრამები, რომლებიც ადამიანური პრობლემების გადაჭრაზე იყო ორიენტირებული. ამან კი საფუძველი ჩაუყარა ხელოვნური ინტელექტის „აზროვნებას“, ანუ იმას, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი გამოთვლითი მანქანისათვის ადამიანის კოგნიტური უნარების გამოყენება.⁴ არანაკლებ

1 Turing A.M., (1950). Computing machinery and intelligence. Mind, Volume LIX, Issue 236, p.p. 433-460.

2 Moor J., (2006). The Dartmouth College Artificial Intelligence Conference: The Next Fifty Years. AI Magazine, Volume 27. pp. 87-91.

3 Dormehl L., (2017). Thinking Machines. USA, New York, tarcherperige, pp.9-10.

4 Gugerty L., (2006). Newell and Simon's Logic Theorist: Historical Background and Impact on Cognitive Modeling. Proceedings of the Human Factors and Ergonomics Soci-

აღსანიშნავია არტურ სამუელის ღვანლიც, რომელმაც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შექმნა ერთ-ერთი პირველი თვით-დასწავლის პროგრამა და დაამტკიცა, რომ გამომთვლით მანქანას შეუძლია გამოცდილების დასწავლა.⁵ თანამედროვეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარების ნაწილში, ასევე, აღსანიშნავია ჯეფრი ჰინტონის, იოშუა ბენჯიოსა და იან ლეკუნის განსაკუთრებული წვლილი, რის გამოც უშუალოდ ჰინტონი ხელოვნური ინტელექტის ნათლიმამადაც კი იწოდება.⁶

გარდა მეცნიერებისა და მკვლევრებისა, ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ორგანიზაციებმა. IBM-ის პროექტის წყალობით და ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, 1997 წელს ხელოვნურმა ინტელექტმა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დაამარცხა და ამით დამტკიცდა, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სტრატეგიულ თამაშებში,⁷ ხოლო Google DeepMind-მა მსგავსი პროექტი განახორციელა გოუს მსოფლიო ჩემპიონ ლი სედოლთან მიმართებაში 2016 წელს.⁸

2. ხელოვნური ინტელექტის როლი დანაშაულის პროგნოზსა და ანალიზში

ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, ეტაპობრივად დაიწყო მისი სხვადასხვა სფეროში გამოყენების შეუქცევადი პროცესი და, ცხადია, ამ მხრივ არც სამართალია გამონაკლისი. ჯერ კიდევ ადრეული განვითარების ეტაპიდან, სისხლის სამართლისა და გამოძიების სფეროში ხე-

ლოვნური ინტელექტი გამოყენება საგამოძიებო მონაცემთა ანალიტიკის ნაწილში, რათა საგამოძიებო ორგანოებს გაადვილებოდათ მათთვის მნიშვნელოვანი ოპერატიული, საგამოძიებო ინფორმაციის მართვა და ეჭვმიტანილთა იდენტიფიცირება მონაცემთა ნიმუშების კვალდაკვალ.⁹ ხელოვნური ინტელექტის ადრეული გამოყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მოიცავდა მონაცემთა ანალიზის გამოყენებას დანაშაულის მონაცემთა ბაზების მართვისათვის. მაგალითად, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (FBI) 1960-იან წლებში შექმნა დანაშაულის ეროვნული საინფორმაციო ცენტრი (NCIC), რომელიც იყენებდა კომპიუტერულ სისტემებს კრიმინალური ჩანაწერების ეფექტიანად მოსაპოვებლად და შესანახად.¹⁰ 1990 წლიდან სისხლის სამართალწარმოებასა და დანაშაულთან ბრძოლაში აქტიურად იწყება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პროგნოზების გაკეთების მიზნით¹¹. სამართალდამცავმა უწყებებმა დაიწყეს ექსპერიმენტირება საპროგნოზო, პოლიციური მეთოდების გამოყენებით. ეს მოდელები იყენებდნენ სტატისტიკის ტექნიკას და ამით პროგნოზირებდნენ სამომავლო დანაშაულებრივ კერებს. ამ მოდელმა საფუძველი ჩაუყარა დღეს არსებული პროგნოზირების დახვეწილ სისტემებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.¹² ორგანიზაცია IBM-მა ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა და პოლიციის სხვადასხვა განყოფილებებთან თანამშრომლობით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა ხელოვნური ინტელექტის საშუალებით დანაშაულობის ანალიტიკისა და პროგნოზირების სისტემის შექმნაში.¹³

ety Annual Meeting 50(9) pp.880-884.

5 Samuel A., (1992). Arthur Samuel: Pioneer in machine learning. *BM Journal of Research and Development* 36(3): pp. 329-331.

6 MIT Management Sloan School. (23.03.2023) Why neural net pioneer Geoffrey Hinton is sounding the alarm on AI. <https://mitsloan.mit.edu/ideas-made-to-matter/why-neural-net-pioneer-geoffrey-hinton-sounding-alarm-ai> (Last accessed: 20.07.2024).

7 Newborn M., (2000). Deep Blue's contribution to AI. *Annals of Mathematics and Artificial Intelligence* 28(1-4). Pp.27-30

8 Google DeepMind, (2.04.2023). Alphago. <https://deepmind.google/technologies/alphago/> (Last accessed: 25.07.2024).

9 Gund P., Phalke V.S., (2023). Investigating crime a role of Artificial intelligence in criminal Justice. *The Online Journal of Distance Education and e-Learning*, Vol. 1. Pp.50-56.

10 Kabol A.F., (2022). The Use Of Artificial Intelligence In The Criminal Justice System (A Comparative Study). *Webology* 19(5). P.593.

11 Ashley K.D., (2017). Artificial intelligence and legal analytics. Cambridge University press. UK. Pp.60-62.

12 Bendouzid. B., (2019). To predict and to manage. *Predictive policing in the United States*. *Big Data & Society* 6(1). pp.1-5.

13 LinkedIn.com. (2023). Prof. Banafa A. The use of AI in the criminal justice field. <https://www.linkedin.com/pulse/use-ai-criminal-justice-field-prof-ahmed-banafa-mrtnf/> (Last accessed: 20.07.2024).

3. ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სისხლის სამართალწარმოებაში

დღესდღეობით ხელოვნური ინტელექტი კიდევ უფრო აქტიურად გამოიყენება სისხლის სამართალწარმოებასა და გამოძიებაში. ხელოვნური ინტელექტი სისხლის სამართალში მოიცავს ტექნოლოგიურ პროცესს (ალგორითმები, ენის დამუშავება, კომპიუტერული ხედვა), რომელიც შექმნილია იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც, ჩვეულებრივ, მოითხოვს ადამიანის ინტელექტს, ადამიანურ ჩარევას. ყველა ეს ტექნოლოგიური პროცესი ორიენტირებულია საგამოძიებო და მართლმსაჯულების პროცესის ეფექტიანობის ზრდაზე. ამ მხრივ დღესაც, სისხლის სამართალში ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი ძირითადი მისიაა პროგნოზირება.¹⁴ კერძოდ, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, არსებული მონაცემების ანალიზი, სამომავლო დანაშაულის პროგნოზირებისა და, შესაბამისად, მისი პრევენციისთვის. ამ მხრივ საკმაოდ კარგი მაგალითია ლოს ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტის (LAPD) გამოცდილება, რომელმაც დანერგა პროგრამა Predpol, პოლიციური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და, შესაბამისად, პოლიციის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის. ჩიკაგოს პოლიციის დეპარტამენტი ხელოვნურ ინტელექტს იყენებს იმ პირების გამოსავლენად, რომელთა მიმართ მაღალია ძალადობის ჩადენის რისკი. ამან ხელი შეუწყო ძალადობის პრევენციას მთელ შტატში.¹⁵

ხელოვნური ინტელექტის სისტემებს ადამიანებზე უკეთ შეუძლიათ დიდი რაოდენობით მონაცემების დამუშავება. შესაბამისად, ისინი ხშირად გამოიყენება დიდი მოცულობითი საგამოძიებო ინფორმაციის დამუშავებისთვის. მაგალითად, ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტი (NYPD) იყენებს ნიმუშის ამოცნობის პროგრამას გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი

ინფორმაციის გასაანალიზებლად და სერიული დამნაშავეების იდენტიფიცირებისთვის, რაც ხელს უწყობს მათი მუშაობის ეფექტიანობას.¹⁶

არ უნდა დავივიწყოთ კვლევითი ნაწილიც. ხელოვნური ინტელექტი საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტია კვლევისათვის, ისევე როგორც, თუნდაც LexisNexis ან Heinonline ეხმარებოდა თავის დროზე იურისტებსა და მოსამართლეებს საქმეში.

ინფორმაციის მოძიებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა ეს პროცესი ნამდვილად კიდევ უფრო გააადვილა. ზოგიერთ იურისდიქციაში ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება, როგორც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტი. ცხადია, ეს არ ეხება ყველა გადაწყვეტილებას. ასეთი სისტემები ანალიზებენ წარსულ საქმეებსა და შედეგებს, რათა უზრუნველყონ რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს შეამციროს მიკერძოება და გააუმჯობესოს სასამართლო გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობა, უზრუნველყოს სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება. თუმცა, ამ განხრით ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ალგორითმული მიკერძოების რისკებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობის შესახებ.¹⁷ არანაკლებ საინტერესოა ესტონური გამოცდილება, რომელმაც ხელოვნური ინტელექტით შექმნა მოსამართლე, რომელიც მიზნად ისახავს მცირე დავების განხილვას, რაც საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად განტვირთავს სასამართლო სისტემას.¹⁸

4. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებების ანალიზი

შედარებითი კვლევები მოწმობენ, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ზემოთ აღწერილი ამოცანების შესრულება შესაძლებელია.

14 Kelly W.R., (2016). The future of crime and punishment: Smart policies for reducing Crime and saving money. Rowman & Littlefield Publishers. USA. pp.72-74.

15 Rigano, G. (2018). Using artificial intelligence to address criminal justice needs. National institute of justice (NIJ) <<https://nij.ojp.gov/topics/articles/using-artificial-intelligence-address-criminal-justice-needs>> (Last accessed: 20.07.2024).

16 Policechiefmagazine.org (2023). Carpertner W., Presidents' message: AI's transformative impact. <<https://www.policechiefmagazine.org/presidents-message-ais-transformative-impact/>> (Last accessed: 22.07.2024).

17 Antunes H., S., Freitas P., M., Oliveira A., L., Pereira C., M., Sequiera E., V., Xavier L., B., (2023). Multidisciplinary Perspectives on Artificial intelligence and the law. Springer. Spain. pp. 15-20.

18 Vasdani T., (2023). From Estonian AI Judges to robot mediators in Canada, U.K. The Lawyer's Daily, Vol. III. pp.5-10.

ბელი ხდება უფრო სწრაფად და ეფექტიანად, რაც საერთო ჯამში, ნამდვილად აუმჯობესებს შესრულებული საქმის ხარისხს. მიუხედავად ამისა, უთუოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ ასეთი ამოცანების შესრულებისას საკმაოდ მწვავედ დგას ეთიკური საკითხი. საუბარია ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული გადაწყვეტილების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე.¹⁹ აქვე შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტის საშუალებით სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამუშავებისას ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალწარმოებასა და გამოძიებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, ერთი შეხედვით, სიახლეს წარმოადგენს, სხვადასხვა ქვეყნებში უკვე გვხვდება ამ სფეროში ხელოვნური ინტელექტის ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მრავალწლიანი გამოცდილება. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, რომელიც უკვე დიდი ხანია იყენებს ხელოვნურ ინტელექტს დანაშაულობის პროგნოზირებისა და მისი პრევენციის ნაწილში. მათ შორის, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენება სპეციალური პროგრამები (Predpol, Compstat) დანაშაულის ანალიზისა და მართვისთვის.²⁰

ხელოვნური ინტელექტის ყველაზე ფართოდ და შეუზღუდავად გამოყენების კუთხით მოწინავეა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ამ ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ტოტალური მეთვალყურეობისთვის, რისი ერთ-ერთი მიზანიც დანაშაულის პრევენციაა. ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟებულია ათასობით სახის ამომცნობი ე.წ. ქვინანი კამერა, რომელიც ინტეგრირებულია სოციალური კრედიტების სისტემასთან, რითაც საბოლოო ჯამში ხდება მოქალაქეთა შეფასება. ცხადია, შეფასების ეს სისტემა სცდება სისხლის სამართლის მიზნებს და ისიც უდავოა, რომ მეთვალყურეობის ეს სისტემა განსაკუთრებით განვითარდა ჩინეთში, იმდენად რამდენადაც დემოკრატიულ ფასეულობებთან მიმართებაში აკრძალვები და შეზღუდვები ამ ქვეყანაში არ გვხვდება.²¹

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, ხელოვნური ინტელექტის განვითარების კვალდაკვალ ამ ქვეყნებში სულ უფრო დიდი ყურადღება ექცევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციებს, რათა გამოირიცხოს ხელოვნური ინტელექტის ბოროტად გამოყენება, რომ არ მოხდეს ადამიანის უფლებების ხელყოფა, მათ პირად ცხოვრებაში არასანქცირებული ჩარევა და ა.შ. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს საპოლიციო ორგანოები ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებულ პროგრამებს იყენებენ დანაშაულის პროგნოზირებისთვის, ეთიკურ-სამართლებრივი შეზღუდვების გათვალისწინებით; გერმანია აქტიურად იყენებს ხელოვნურ ინტელექტს სამართლის კვლევებში, კეთილსინდისიერების პრინციპების სრული დაცვით; საფრანგეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ინდოეთი, ასევე, იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს დანაშაულის პროგნოზირების/ანალიზის და სამეცნიერო კვლევებისათვის, კეთილსინდისიერებისა და ეთიკურ-სამართლებრივი შეზღუდვების გათვალისწინებით.²²

5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

ცხადია, ამ შემთხვევაში გარკვეული პრაქტიკაც შეიქმნა. ჯერ კიდევ 2016 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში შედგა სასამართლო დავა: ლუმისის ვისკონსინის წინააღმდეგ (Loomis v. Wisconsin). ერიკ ლუმისს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა პროგრამა

19 Wischmeyer T.,(2020) Artificial intelligence and transparency: Opening the black box. Regulating Artificial Intelligence, pp. 75-101.
20 Mugari I., Obioga E., (2021). Predictive Policing and Crime Control in The United States of America and Europe: Trends in a Decade of Research and the Future of Predictive Policing. Social Sciences 10(6). p.234.

21

Compas-ის (Correctional Offender Management Profiling for Alternative Sanctions) ალგორითმის საშუალებით გამოთვლილი რისკების შეფასების საფუძველზე. ლუმისი სადავოდ ხდოდა მისი ბედის გადაწყვეტისათვის ამ პროგრამისა და ალგორითმის გამოყენებას, აპელირებდა რა იმით, რომ ეს არღვევდა მის საპროცესო უფლებებს, რადგან მისთვის შეფასების პროცესი სრულიად არაგამჭვირვალე იყო და გაუგებარი რჩებოდა, თუ როგორ მიიღო ალგორითმმა რისკის შესაფასებლად ასეთი ქულა. სასამართლომ არ გაიზიარა პირის პოზიცია იმ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, რომ ეს არ იყო ერთადერთი მაჩვენებელი, რის საფუძველზეც სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, საქმე პრეცედენტულია სწორედ ამ არგუმენტაციიდან გამომდინარე.²³ არანაკლებ პრეცედენტული მნიშვნელობის იყო საქმე გაერთიანებული სამეფოს სასამართლო პრაქტიკიდან – R. (Bridges) v. Chief constable of south wales police. 2020 წელს, პირმა სადავოდ გახადა სამხრეთ უელსის პოლიციის მიერ სახის ამომცნობი სისტემის გამოყენება და ამტკიცებდა, რომ ამით დაირღვა მისი პირადი ცხოვრების უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და პირად მონაცემთა დაცვის აქტი. სასამართლომ მხედველობაში მიიღო აპელანტის მოსაზრება და დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა იმის აღნიშვნით, რომ პოლიციას გაცნობიერებული არ ჰქონდა, თუ რაოდენ დიდი და უხეში იყო ასეთი სისტემების გავლენა ადამიანების პრივატულობასა და კონფიდენციალობაზე, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცულობაზე. ეს გადაწყვეტილებაც ერთგვარი პრეცედენტის მატარებელია იმ ჭრილში, რომ მიუხედავად მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებისა და ხელოვნური ინტელექტის უდიდესი გავლენისა, აუცილებელია დაცულ იქნას ბალანსი, რათა თავიდან ავიცილოთ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და პერსონალურ მონაცემთა უხეში ხელყოფა.²⁴

პრაქტიკაზე საუბრისას შეუძლებელია არ გავანალიზოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (საქმე შეეხებოდა შემთხვევას, როდესაც ბანკი სპეციალური პროგრამის საშუალებით აფასებდა საკრედიტო აპლიკაციებს) სასამართლომ დააფიქსირა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დროს მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. ინდივიდს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მის შესახებ ავტომატიზებული მიღებული გადაწყვეტილება გადასინჯულ იქნას ადამიანის მიერ. ისეთი ავტომატური გადაწყვეტილებები, რომლებიც არსებითად ახდენენ ადამიანის ბედზე გავლენას, უნდა აიხსნას და დასაბუთდეს.²⁵

დასკვნა

მაშასადამე, უდავოა, რომ ხელოვნური ინტელექტის შექმნა და განვითარება მრავალი მეცნიერისა და ორგანიზაციის ერთობლივი მუშაობის შედეგია. ამ სფეროში პიონერებად მაინც ალან ტიურინგი და ჯონ მაკ-კარტი მიიჩნევა, რადგან სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი იდეის დონეზე გამოთვლითი მანქანის ასეთ შესაძლებლობებს. შემდგომ ჰინტონის გუნდის წვლილი განუზომელია ამ იდეის განვითარებაში და ბოლოს უკვე ისეთმა დიდმა ორგანიზაციებმა, როგორებიც არის IBM და Google DeepMind, პრაქტიკაში მოახდინეს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების უკეთ დემონსტრირება.

მაშასადამე, როგორც ჩანს, ქვეყნების დიდი ნაწილი იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს სისხლის სამართალწარმოებაში, გამოძიებასა და სამეცნიერო საქმიანობაში. თუმცა მათი დამოკიდებულება განსხვავებულია. მაგალითად, ჩინეთი მეტად აკეთებს აქცენტს მოსახლეობის კონტროლზე და არ ითვალისწინებს ადამიანის პირად უფლებებს; ამერიკის შეერთებული შტატებში იგი მეტწილად გამოიყენება დანაშაულის ანალიზისა და პროგნოზირების

23 State v. loomis. (2016). Harward law review. Vol.130. issue 5. Harward University. pp. 1530-1537.

24 Hunton Andrews Kurth, (2020). UK court of appeal finds automated facial recognition technology unlawful in Bridges v South Wales police. <<https://www.huntonak.com/privacy-and-information-security-law/uk-court-of-appeal-finds-automated-facial-recognition-technology-un->

[lawful-in-bridges-v-south-wales-police>](#) (Last accessed: 20.07.2024).

25 Szappanyos m., (2023). Artificial intelligence: Is the European court of Human rights prepared? Acta Humana. Vol 11(1) pp. 93-110.

ნაწილში, ცხადია ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის პირად უფლებებს, თუმცა ამ შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა ქრილში აქ არ გვხვდება ისეთ მკაცრი რეგულაციები, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, სადაც ასევე გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი. ევროპის ქვეყნებში, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენებისას ადამიანის პირადი უფლებები და კონფიდენციალურობა აღმატებულ ინტერესად არის მიჩნეული.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული შემთხვევები ასახავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ზრდის ტენდენციას სისხლის სამართალწარმოებასა და გამოძიებაში. ზოგადად, სხვადასხვა ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემები მხარს უჭერენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მხოლოდ იმ პირობით, რომ პროცესი იქნება გამჭვირვალე და ის არ იქნება არსებითი სამართლებრივი შედეგების განმსაზღვრელი ერთადერთი წინაპირობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები თავისუფალი უნდა იყოს მიკერძოებისაგან და გათვალისწინებული იქნას ინდივიდთა უფლებები – მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულმა ტექნოლოგიებმა და პროგრამებმა მნიშვნელოვნად გაადვილეს სისხლის სამართალწარმოებასა და გამოძიებაში არსებული ამოცანები, ცხადია არსებობს გარკვეული რისკები და გამოწვევებიც. პირველ რიგში, ასეთი სისტემების პირობებში, საკმაოდ მაღალია შეცდომის ალბათობა, ამიტომ უმნიშვნელოვანესია მათი სწორად აწყობა-გენერირება. სისტემის გამართულად მუშაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არსებული მონაცემების სწორი ასახვა, რადგან აქ დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება მიგვიყვანოს არასწორ ან დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებამდე, ადამიანისგან განსხვავებით ხელოვნური ინტელექტი ვერ იქნება თვითკრიტიკული საკუთარი გადაწყვეტილების მიმართ. უდიდესი გამოწვევაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალური მონაცემები. ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე შექმნილი სისტემების მასიურად გამოყენებისას მნიშვნელოვანია დაცულ იქნას საჭირო ბალანსი და მონაცემთა უსაფრთხოება. ერთ-ერთი ეთიკური საკითხია ისიც, რომ ამ სისტემით

მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს გამჭვირვალე და უნდა არსებობდეს ანგარიშვალდებულების სისტემა. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სხვადასხვა იურისდიქციებში დაკავშირებულია არსებით გამოწვევებთან, რადგან სამართლებრივი სტანდარტები, რეგულაციები და კულტურული დამოკიდებულებები ხელოვნური ინტელექტის მიმართ ძალიან განსხვავდება. უშუალოდ სისხლის სამართალწარმოებისა და გამოძიების ქრილში ხელოვნური ინტელექტის განვითარებასა და დახვეწასთან ერთად მოსალოდნელია:

- დაიხვეწოს საპოლიციო პროგნოზირების სისტემები, შეიქმნას კიდევ უფრო სრულყოფილი ალგორითმები, რომლებიც თავის თავში გააერთიანებენ დიდი რაოდენობის მონაცემებს, რომელთა საშუალებით ალგორითმი კრიმინოლოგებზე უკეთ შეძლებენ ამ ქრილში რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული, შესაძლოა უზუსტესი პროგნოზის შესრულებას;
- ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად იქნება გამოყენებული ექსპერტიზის ნაწილში, რითაც უფრო მეტი მტკიცებულების მოპოვება და დამაგრება იქნება შესაძლებელი და ეს მტკიცებულებები იქნება მეტად ზუსტი და უტყუარი;
- ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო მეტად გახდინან შესაძლებელს დანაშაულის უზუსტესი სცენის თუ მარშრუტის აღდგენას, რაც, ცხადია, მასზე რეაგირებას და გამოძიების პროცესს უფრო სრულყოფილს გახდის;
- ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები გაადვილებენ ციხეში პატიმართა მენეჯმენტს, მათ შორის მათ ყოფა-ქცევაზე დაკვირვებას და ამის საფუძველზე პერსონალიზებული რეაგირების გზების, მათ შორის, რეაბილიტაციის დაგეგმვას.

ცალკე მსჯელობის საგანია ის, თუ რამდენად შეძლებს ხელოვნური ინტელექტი მოსამართლეების შეცვლას. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ეთიკური წინააღმდეგობების გარდა, თავს იჩენს სხვა წინააღმდეგობაც:

კერძოდ, საუბარია მართლმსაჯულების განხორციელების ისეთ აუცილებელ კომპონენტზე, როგორც არის მოსამართლის შინაგანი რწმენა. შესაძლოა კი გამოთვლით მანქანას ჰქონდეს შინაგანი რწმენა? ცხადია შეიძლება, თუმცა მას შეიძლება ჰქონდეს შინაგანი რწმენა ისეთი, როგორსაც მას ისევ ადამიანები გაუწერენ შესაბამისი ალგორითმით. შეძლებს კი გამომთვლელი მანქანა შეაფასოს ისეთი გარემოებები, როგორცაა: განსაკუთრებული სისასტიკე, პირის მიერ ქმედების გულწრფე-

ლი მონანიება და ა.შ.? ამ კითხვაზე პასუხი საკმაოდ ბუნდოვანი და არაერთგვაროვანია. ცხადია, რომ სულ უფრო და უფრო იხვეწება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები და სულ უფრო და უფრო ფართოვდება მისი გამოყენების არეალი. ისიც უდავოა, რომ გადატვირთული სასამართლო სისტემის ფონზე, იდეა საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, თუმცა მისი განხორციელების რეალური პერსპექტივა ამ ეტაპზე საკმაოდ ბუნდოვანია.

ბიბლიოგრაფია:

სახელმძღვანელოები/მონოგრაფიები:

1. Dormehl L., (2017) Thinking Machines. USA, New York, tarcherperige (Eng)
2. Ashley K.D.,(2017) Artificial intelligence and legal analytics. Cambridge University press. UK. (Eng)
3. Kelly W.R.,(2016) The future of crime and punishment: Smart policies for reducing Crime and saving money. Rowman & Littlefield Publishers.USA (Eng)
4. Antunes H., S., Freitas P., M., Oliviera A., L., Pereira C., M., Sequiera E., V., Xavier L., B., (2023) Multidisciplinary Perspectives on Artificial intelligence and the law. Springer. Spain. (Eng)

სამეცნიერო სტატიები:

1. Turing A.M., (1950). Computing machinery and intelligence. Mind, Volume LIX, Issue 236.
2. Moor J., (2006). The Dartmouth College Artificial Intelligence Conference: The Next Fifty Years. AI Magazine, Volume 27.
3. Gugerty L., (2006). Newell and Simon's Logic Theorist: Historical Background and Impact on Cognitive Modeling. Proceedings of the Human Factors and Ergonomics Society Annual Meeting 50(9).
4. Samuel A., (1992). Arthur Samuel: Pioneer in machine learning. BM Journal of Research and Development 36(3).
5. Newborn M., (2000). Deep Blue's contribution to AI. Annals of Mathematics and Artificial Intelligence 28(1-4).
6. Gund P., Phalke V.S., (2023). Investigating crime a role of Artificial intelligence in criminal Justice. The Online Journal of Distance Education and e-Learning, Vol. 1.
7. Kabol A.F., (2022). The Use Of Artificial Intelligence In The Criminal Justice System (A Comparative Study). Webology 19(5).
8. Bendouzi B., (2019). To predict and to manage. Predictive policing in the United States. Big Data & Society 6(1).
9. Vasdani T., (2023). From Estonian AI Judges to robot mediators in Canada, U.K. The Lawyer's Daily, Vol. 11(Eng);
10. Wischmeyer T., (2020). Artificial intelligence and transparency: Opening the black box. Regulating Artificial Intelligence.
11. Mugar I., Obioga E., (2021). Predictive Policing and Crime Control in The United States of America and Europe: Trends in a Decade of Research and the Future of Predictive Policing. Social Sciences 10(6).
12. State v. loomis, (2016). Harward law review. Vol.130. issue 5. Harward University.
13. Szappanyos m., (2023). Artificial intelligence: Is the European court of Human rights prepared? Acta Humana. Vol 11(1).

ვებ გვერდი:

1. MIT Management Sloan School. (23.03.2023) Why neural net pioneer Geoffrey Hinton is sounding the alarm on AI. <<https://mitsloan.mit.edu/ideas-made-to-matter/why-neural-net-pioneer-geoffrey-hinton-sounding-alarm-ai>> (Last accessed: 20.07.2024).
2. Google DeepMind. (2.04.2023) Alphago. <<https://deepmind.google/technologies/alphago/>> (Last accessed: 25.07.2024).
3. LinkedIn.com. (2023) Prof. Banafa A. The use of AI in the criminal justice field. <<https://www.linkedin.com/pulse/use-ai-criminal-justice-field-prof-ahmed-banafa-mrtnf>> (Last accessed: 20.07.2024).
4. <[Policechiefmagazine.org](https://www.policechiefmagazine.org)>, (2023). Carpertner W., Presidents' message: AI's transformative impact. <<https://www.policechiefmagazine.org/presidents-message-ais-transformative-impact/>> (Last accessed: 22.07.2024).
5. <<https://www.linkedin.com/>> Yucel G., (2024). Crime prevention effort with artificial intelligence in China: analysis. <<https://www.linkedin.com/pulse/crime-prevention-efforts-artificial-intelligence-china-gokcen-yucel-aascf>> (Last accessed: 25.06.2024).
6. <www.techuk.org> Industry views. (2024). Mahalias I., AI adoption in criminal justice – How can industry support the justice system in implementing Artificial intelligence <<https://www.techuk.org/resource/ai-adoption-in-criminal-justice-how-can-industry-support-the-justice-system-in-implementing-artificial-intelligence.html>> (Last accessed: 25.07.2024).
7. Hunton Andrews Kurth, (2020). UK court of appeal finds automated facial recognition technology unlawful in Bridges v South Wales police. <<https://www.huntonak.com/privacy-and-information-security-law/uk-court-of-appeal-finds-automated-facial-recognition-technology-unlawful-in-bridges-v-south-wales-police>> (Last accessed: 20.07.2024).
8. Rigano, G., (2018). Using artificial intelligence to address criminal justice needs. National institute of justice (NIJ) <<https://nij.ojp.gov/topics/articles/using-artificial-intelligence-address-criminal-justice-needs>> (Last accessed: 20.07.2024).